საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ანდრიაძე დავით სერგოს ძე



დ. ანდრიაძე

ანდრიაძე დავით სერგოს ძე (დ. 4. VII. 1958, თბილისი), ხელოვნებათმცოდნე, კულტუროლოგი, ფილოსოფიის მეცნ. დოქტორი (2003), პროფესორი (2003). დაამთავრა თსუ-ის ფილოლ. ფაკ-ტი (1982); 1987 მუშაობა დაიწყო იქვე. 1997-2005 იყო თბილ. კულტ. და ხელოვნ. სახელმწ. უნ-ტის ფილოს. და კულტუროლოგიის კათედრის გამგე და კულტ. ისტ. და თეორიის სამეცნ.-კვლ. ცენტრის ხელმძღვანელი; 2004-07 - საქართ. ეროვნ. გალერეის არტდირექტორი-სამხატვრო ხელმძღვანელი; 2019-23 - საქართვ. საზ. მაუწყებლის ტელეწამყვანი; 2018-იდან ჟურნ. „თეატრის“ მთავარი რედაქტორია. სხვადასხვა დროს ასწავლიდა ა. ქუთათელაძის სახ. სახელმწ. სამხატვრო აკადემიასა (2008-15) და საქართვ. შოთა რუსთაველის თეატრ. და კინოს უნ-ტში (1998-2001).

ა-ის სამეცნ. კვლევის ინტერესს წარმოადგენს კულტ. ფილოს., სემიოტიკა, ხელოვნ. ფილოს. და სოციოლოგია. არის არაერთი სამეცნ. ნაშრომის, კრიტ. წერილის, წიგნისა და მონოგრაფიის ავტორი, მ. შ.: „ფერწერა და იმაგინაცია“ (1996); „იკონოლოგიური მარგინალიები“ (1997); „ტყეები ქალაქში“ (2010); „ნიჟარაძის ოქროს ხანა“ (2013); „მამია მალაზონიას თეატრი“ (2013); „ქართული წიგნის ხელოვნება“ (I-II-III; 2013-2014-2015); „სამეულის თეატრი“ (2014); „ცხოვრება და სიკვდილი უჩა ჯაფარიძისა“ (2016); „გმირი და მოდელი“ (2016); "ბაჟბეუქის ქარიზმა" (2017); „ამბავნი ქართულ ქანდაკთა“ (2023) და სხვ. 2018 ლამბერტის აკადემიურმა გამომცემლობამ (გერმანია) ინგლ. ენაზე გამოსცა მისი მონოგრაფია „The veils season“, რ-იც ეხება ქართ. ხელოვნების გენეზისს

სოცრეალიზმიდან პოსტმოდერნიზმამდე.

მიღებული აქვს კ. მარჯანიშვილის სახ. პრემია (2024).

ს. მეტრეველი